პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 10 ოქტომბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კ. — თვიურად 60 კ.

# წითელი არმია

(928) 230 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ. ● ოლხმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

ორშაბათს, 12 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის ალმასკომის დარბაზში დანიშნულია

ტფილისის ალმასკომის პლენუმის

**ს ხ დ ო მ ა.**

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ტფილისის საბჭოების ყრილობის და მისი ორგანოების დებულების შესახებ.
2. მოხსენება საგეგმო კომისიის რეორგანიზაციის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

## ახალი ძალები წითელ-არმიას.

სულ რამოდენიმე დღეა, რაც დაიწყო 1903 წ. დაბადებულ ახალგაზრდათა შეკრება.

დღემდე მიღებული ცნობების თანახმად მშრომელი ახალგაზრდობის ჯარში გაწვევა კარგად მიმდინარეობს ყველა მაზრებში. გასაწვევ პუნქტებში საერთო ხალისით, სიმღერებით და წითელი დროშებით ხელში ჯგუფ-ჯგუფად ცხადდება გასაწვევ ახალგაზრდობის 100 პროც. მათი სულიერი განწყობილებაც საუცხოვოა.

დარჩა კიდევ რამოდენიმე დღე შეკრების დამთავრებამდე სათანადო ნაწილებზე მიწერილი ახალგაზრდობა-ახალწვეულები რამოდენიმე დღის შემდეგ გაეშურებიან წითელი ყაზარმებისაკენ, რომ იქ გაიცნონ წითელი არმიის ყოფა-ცხოვრება და შეიძინონ სამხედრო პოლიტიკური ცოდნა და საერთო განათლება.

ჩვენს წითელ ყაზარმებს კი თავიანთი მხრით უკვე დამთავრებული აქვთ წინასწარი მზადება ახალწვეულების შესახვედრად და მათ ღირსეულად მისაღებად.

აქვე არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ და ხაზი არ გაუსვათ შემდეგ მოვლენას: ამ რამოდენიმე დღის წინად დამთავრებულმა ტერ-შეკრებამ საუცხოოდ ჩაიარა და გაამართლა ყველა ის იმედები, რომელსაც მასზე ამყარებდა ჩვენი ხელისუფლება. ტერ-შეკრების ასეთ ნაყოფიერად დაგვირგვინება კი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად და პოლიტიკურად გამაგრება—გაძლიერებას.

გარდა ამისა, თუ ამჟამად მიმდინარე ჯარში გაწვევას შევადარებთ წარსულთან, დავინახავთ, რომ განსხვავება მათ შორის ძლიერ დიდია. დღეს ახალგაზრდობა უფრო შეგნებულად ავსებს წითელი არმიის რიგებს. მან ეხლა კარგად იცის, თუ სად და რისთვის მიდის.

ამასთანავე ერთად ახალწვეულებმა იციან, რომ მათი ოჯახები წარსულ წლებთან შედარებით ეხლა უფრო უზრუნველყოფილი და ძლიერი არიან ეკონომიურად.

სწორედ ამიტომაა, რომ დღეს მშრომელი ახალგაზრდობა დიდის ენტუზიაზმით მიეშურება წითელი ყაზარმებისაკენ, რომ მან აქ შეიძინოს სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, წერა-კითხვა სამშობლო ენაზე და სხ., რომ შემდეგში ის გახდეს ღირსეული დამცველი მშრომელთა ინტერესებისა.

# ახალი რადიო-ამბები

## საუზრუნველყოფო კონფერენციის გარშემო.

ოფიციალური ცნობა.

ლოკარნოს (შვეიცარიაში) საუზრუნველყოფო კონფერენციის შესახებ ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია: „მოისმინა რა იურისტების მოხსენება მუშაობის შესახებ, იმასთან დაკავშირებით, რომ შეტანილ იქნა ახალი წინადადება ზოგიერთ საკითხის შესასწავლად, კონფერენციამ დაადგინა მოისმინოს იურისტების დამატებითი მოხსენება მორიგ სხდომაზე".

## ხელშეკრულების ტექსტით ვაჭრობა.

ლოკარნოში საუზრუნველყოფო კონფერენციაზე მყოფ ბერლინის გაზეთების კორესპონდენტების ცნობით, საუზრუნველყოფო ხელშეკრულების გეგმის ტექსტი იყიდებოდა ლოკარნოს ქუჩებში 200 დოლარად (დაახლოებით 400 მანეთად).

## პოლონელებს განზრახული აქვთ მიიზიდონ საბჭოთა კავშირი საუზრუნველყოფო კონფერენციაზე.

ბერლინის გაზეთებში აქვეყნებენ ლოკარნოდან (შვეიცარიაში) მიღებულ ცნობებს, თითქოს პოლონელებს განზრახული ჰქონდეთ წინადადება შეიტანონ საბჭოთა კავშირის მიზიდვის შესახებ საუზრუნველყოფო კონფერენციაზე.

## რემედსის ალმასკომის მიმართვა.

რემედსის ალმასკომმა გააგზავნა ვაშინგტონში (ამერიკაში) საპარლამენტთაშორისო კონფერენციის პრეზიდიუმის სახელზე დეპეშა მოწოდებით გამოეხმაურონ უნგრეთში დაპატიმრებულ რაკოშისა და სხვათა საგანგებო სასამართლოზე გადაცემას.

## ჰინდენბურგი საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ შეთანხმების შესახებ.

გერმანიის გაზეთები იტყობინებიან, რომ ჩიჩერინის მიერ ჰინდენბურგის ნახვის დროს უკანასკნელმა განაცხადა, რომ მან მიანდო გერმანიის ელჩს საბჭოთა კავშირში ბროკდორფ რანცაუს მოაწეროს ხელი საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულებას.

ჰინდენბურგმა დასძინა, რომ გერმანიის მხრივ უკვე აღარ არის დაბრკოლება ეკონომიური შეთანხმების განხორციელების საქმეში, რასაც ის სიხარულით ესალმება.

## გრაბსკი პოლონეთის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

პოლონეთის მინისტრთა თავმჯდომარემ გრაბსკიმ წარმოსთქვა სეიმში სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ პოლონეთი სრულიად უზრუნველყოფილ უნდა იქნას თავის საზღვრების ხელშეუხებლობის საქმეში. პოლონეთის საგარეო პოლიტიკა დამყარებულია საფრანგეთთან კავშირზე. საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულება თანდათან უმჯობესდება. ჩიჩერინის აქ მოსვლა დამამტკიცებელია იმის, რომ ვარშავასა და მოსკოვს შორის გართულებული მდგომარეობა მოგვარებულია.

## მაკდონალდი ხელს უწყობდა მშრომელთა ჯალათს.

ინგლისის მუშათა მთავრობის ყოფილ თავმჯდომარესა და ბულგარეთის მთავრობის თავმჯდომარეს ცანკოვს ხშირად

## თეთრი ტერორი ჰუნგრეთში.

ექვსი წლის წინად, ხანმოკლე არსებობის შემდეგ, ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა სისხლიდან დაცლილი დაეცა ანტანტის სახელმწიფოთა ჯარების შემოტევის შემდეგ. ვინ მოუმზადა ნიადაგი რეაქციის გამარჯვებას? უკანასკნელ იმპერიალისტურ ომის შემდეგ ავსტრო-უნგრეთი ყველაზე უფრო დამარცხებული გამოვიდა. დამარცხებას ის შედეგი მოყვა, რომ ეს დიდი იმპერია დაიშალა მასში შემავალ ეროვნებათა მიხედვით ცალ ცალკე სახელმწიფოებათ. ჰუნგრეთში, დიდ ოქტომბრის რევოლიუციის გავლენით, ძალაუფლება, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასმა აიღო. მძიმე პირობებში უხდებოდა ჰუნგრეთის პროლეტარიატს თავის ბატონობის განმტკიცება. აღმოსავლეთით მას და საბჭოთა რუსეთს შორის რეაქციონური პოლონეთი და უკრაინა იყო აღმართული, სადაც იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული საბჭოთა ხელისუფლება.

სამხრეთით მას უტევდა მემამულეთა რუმინია.

დასავლეთით კი ავსტრიაში, საიდანაც მას მეტი საფრთხე მოელოდა, სოციალ-დემოკრატია იყო მთავრობის სათავეში, ნამდვილად კი ამ მხარის ბატონ-პატრონი, როგორც ეს დღეს არის ანტანტა—ინგლისი და საფრანგეთი იყო. ეს ხალხი, უნდა გვეფიქრა, რომელიც თავის თავს სოციალისტებს უწოდებენ, უნდა დახმარებოდა ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკას ან ხელი უნდა შეეშალა მის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებისათვის. მაგრამ იმათმა, როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, თავის მოღალატური, გამცემლური ბუნება გამოიჩინეს მუშათა კლასისადმი.

ჰუნგრეთიდან გამოქცეულმა ბურჟუაზიამ და მემამულეებმა საუკეთესო მფარველები იპოვეს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის სახით. ავსტრიის დედა ქალაქში ვენაში—იმათ მოაწყვეს თავიანთი შეიარაღებული რაზმები და ინგლის—საფრანგეთის კურთხევით შეუტიეს ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკას. ამ ხანებში შიგ ჰუნგრეთში ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიამ საკმაოდ მოამზადა ნიადაგი რეაქციის გასამარჯვებლად თავისი გამცემლურ პოლიტიკით, და ყოველ მხრივ დაუნდობელ მტრებით გარშემორტყმული საბჭოთა ჰუნგრეთი დაეცა. მას მერე ჰუნგრეთში მძვინვარებს დიქტატორ ხორტის საშინელი თეთრი ტერორი, რომელიც არაფრად არ ჩამოუვარდება ცანკოვის უსაშინელეს ტერორს. ყოველ წლიწადში ახალ-ახალ „კომუნისტურ შეთქმულებებს" აჩენს ადგილობრივი „ოხრანკა". ექვსი წელია, რაც აქ შეუჩერებლივ მუშაობს სამხედრო-საველე სასამართლოები.

სიტყვის და კრების თავისუფლება არ იცის ექვსი წელია ჰუნგრეთის მუშათა კლასმა. ამ დღეებში ჰუნგრეთიდან ცნობა იყო, რომ იქ „ოხრანკას" დ უტუსაღებია გამოჩენილი ჰუნგრელი კომუნისტი ამხ. რაკოში და მემარცხენე სოციალისტურ პარტიის ბელადები იქ ჩასულან თითქოს „კომუნისტურ შეთქმულების" მოსაწყობათ. დღეს კი ვტყობილობთ, რომ ადმირალ ხორტის სამხედრო—საველე სასამართლო ამხ. რაკოშის და მის ამხანაგების სიცოცხლეს სიკვდილით ემუქრება. წინასწარ ძიებიდან სჩანს, რომ სახელმწიფოებრივ დანაშაულობის არავითარი ნიშნები არ უნახავთ რაკოშის და მის ამხანაგების მოქმედებაში სასამართლოს. ამას თვით ბურჟუაზიული გაზეთები აღიარებენ. მიუხედავათ ამისა ამხ. რაკოშის და სხვა მუშათა ბელადებს სიკვდილით ემუქრებიან ჯალათები; აი, როგორ ეპყრობა ბურჟუაზიული მართლმსაჯულება მუშათა საქმისათვის თავდადებულ ამხანაგებს. მსოფლიო პროლეტარიატი აღიმაღლებს თავის მძლავრ ხმას ამ უსამართლოების წინააღმდეგ და ნებას არ მისცემს ადმირალ ხორტის ჯალათებს თავის ბოროტ განზრახვის სისრულეში მოყვანისას.

ნ.

ჰქონიათ საუბარი, რომლის დროსაც მაკდონალდი დიდის თავაზიანობითა და მოყვარულობით ღებულობდა ამ ცნობილ, მშრომელთა ჯალათს. მაკდონალდი აღუთქვამდა ცანკოვს ბულგარეთთან შეთანხმებას და კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას.

## უნგრეთის პოლიციამ სასტიკად აწამა პატიმარი მუშები.

გასამართლება სიმართლის თქმისთვის.

უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ნეიშავა" და ბურჟუაზიული „შილლაგი" აქვეყნებენ დაწვრილებითი ცნობებს დაპატიმრებულ მუშათა ფიზიკურ შეურაცხყოფის შესახებ ბუდაპეშტის პოლიციის მიერ. მუშათა პარტიის მდივანს მიტტერერს სასტიკად სცემეს, მუშები ვეისი, მალერი და მწერალი პაპპი ფეხქვეშ სთელეს და გაჰგუდეს. შეუბრალებლად სცემეს აგრეთვე მთელ რიგ სხვა პატიმრებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ გაზეთ „შილლაგისა" და „ნეპშავას" წინააღმდეგ დაწყებული იქნება სასამართლოს გამოძიება პატიმართა ცემისა და წამების შესახებ ცნობების გამოქვეყნებისათვის.

## ჩან-ძო-ლინი აპირებს „კომუნიზმის აღმოფხვრას.

მუკდენიდან მიღებულ ცნობით, ჩან-ძო-ლინი რუს თეთრგვარდიელთა დახმარებით ადგენს სპეციალურპო ლიციის რაზმებს, რომელთა დანიშნულებაა „კომუნიზმის ამოფხვრა" მთელს ტერიტორიაზე, რომელიც შედის ჩან-ძო-ლინის მფლობელობის ქვეშ.

## ჩეხიის კომუნისტების გასამართლება.

დაიწყო 6 კომუნისტის გასამართლება. მათ რიცხვში შედის ხამი კომპარტიის ცეკას მდივანი ილეკი, გუზერი და ნეირატი, რომლებსაც ბრალად ედებათ რესპუბლიკის წინააღმდეგ ღალატის მოწყობა.

# საბჭოთა კავშირში

## ჩეხო—სლოვაკიის მუშათა დელეგაცია მოსკოვში.

11 ოქტომბერს დელეგაციის ერთი ჯგუფი გამოემგზავრება კავკასიაში.

ჩეხო—სლოვაკიის მუშათა დელეგაცია დაიყო სამ ჯგუფად პროფესიის და (ხელობის) მიხედვით და გაემართეს სათანადო საწარმოო დაწესებულებათა დასათვალიერებლად.

დელეგატებმა დაათვალიერეს აგრეთვე მუშათა კლუბები.

11 ოქტომბერს დელეგაცია სამ ჯგუფად დაყოფილი გაემგზავრება ყირიმში, კავკასიაში და ურალის მხარეში.

## ეროვნულ საკითხის შემსწავლი ინსტიტუტი.

ეროვნულ პოლიტიკის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების გამოკვლევის, ეროვნულ რესპუბლიკებისა და ოლქების მუშაობის გამოცდილებათა აღრიცხვის მიზნით, ეროვნებათა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმმა აზრი გამოსთქვა სპეციალურ ინსტიტუტის (სამეცნიერო დაწესებულება) დაარსების შესახებ ეროვნულ საკითხის შესწავლის საქმეში.

ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად, რომელიც სდგას ეროვნებათა საბჭოს მუშაობის გეგმაში, პრეზიდიუმმა სცნო ფართე გამოკვლევა ეროვნულ მდგომარეობის საკითხისა საკავშირო და ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში. პირველ რიგში აუცილებლად ცნობილ იქნა შუა აზიის, ამიერ კავკასიის, ყაზახთა, თათართა, ბაშკირეთის და ჩუვაშთა რესპუბლიკების, რიაზანის გუბერნიისა და კალმიკთა ოლქის გამოკვლევა.

## აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის მოგება.

აჭარისტანის სავაჭრო—სამრეწველო დაწესებულებათაგან საოპერაციო წლის განმავლობაში შემოვიდა 36.000 მანეთი. ამ თანხიდან 3.600 მანეთი მოხმარდება მუშათა ცხოვრების გაუმჯობესებას, 17. 500 მანეთი გადაიცემა სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებაში, ხოლო დანარჩენი თანხა მოხმარდება სხვა და სხვა საშუალებათა ტრიალის გაძლიერებას.

## როგორ მიმდინარეობს 1903 წლის გაწვევა.

(ტერსამმართველოს ცნობებიდან).

5 ოქტომბერს რესპუბლიკის ყველა მაზრებში დაიწყო 1903 წელში დაბადებულთა გაწვევა. სამმართველოს ცნობებით გაწვევა ყველგან წარმატებით მიმდინარეობს. ზოგიერთ მაზრებში მუშაობას ვერ აუდის ერთი მიმღები კომისია და ამიტომ იქ მოეწყო ორ-ორი მიმღები კომისიები. ასეა მაგალითად ტფილისში, გორში და ქუთაისში. გლეხები საგზლებით და დროშებით ცხადდებიან.

მიმღებ კომისიებში მონაწილეობას ღებულობენ: მაზრის სამხედრო კომისარი, სამაღმასკომის წარმომადგენელი, სამხედრო უწყების წარმომადგენელი, ერთი სამხედრო და ერთიც სამოქალაქო ექიმი, პარტიულ და პროფორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვ.

### შეღავათები.

ამჟამად სწარმოებს ახალწვეულთა მხოლოთ შემოწმება. მათ ეძლევათ შეღავათები 1-ლი, მეორე და მესამე ხარისხის. ის ვისაც არავითარი შეღავათი არა აქვს, განთავისუფლებულ იქნება 5 ნოემბრამდე, პირველი ხარისხის შეღავათიანები 7 ნოემბრამდე, მეორე ხარისხი 9 ნოემბრამდე და სხვ.

მოწაფეებს ეძლევათ უკანასკნელი ხასიათის შეღავათები.

### ნაწილებში გაგზავნა.

უშეღავათო გაწვეულები დანიშნულ იქნებიან საკადრო ნაწილებში. თუ საკადრო ნაწილები არ შეივსო უშეღავათოებით, მაშინ იქ დანიშნავენ მეორე ხარისხის შეღავათიანებს.

თუ ვინიცობაა უშეღავათოები იმდენი აღმოჩნდა, როდ საკადრო ნაწილების შევსებას გადააჭარბა მათი რიცხვი, მაშინ დანიშნული იქნება კენჭის ამოღება.

ის გაწვეულები, ვინც არ იქნება გაგზავნილი სამხედრო ნაწილში, დანიშნულნი იქნებიან ჯარის გარეშე სამხედრო სწავლების კატეგორიაში.

შვებულებებიდან დაბრუნების შემდეგ მუშა-მოსამსახურე ახალგაზრდები განთავისუფლებულ იქნებიან კიდევ რამოდენიმე დღით, რომ გაასწორონ დაწესებულებებთან, თუ რაიმე ანგარიშები ექნებათ.

## საზეიმო ვახშამი იტალიის მფრინავთა საპატივცემოდ.

წითელი არმიისა და ფლოტის სახლში (ლენინგრადში) გაიმართა საზეიმო ვახშამი, რომელიც მოაწყო სამხედრო-საზღვაო სარდლობამ იტალიის მფრინავთა საპატივცემოდ.

იტალიის ჰიდროპლანების გაფრენა ლენინგრადიდან დანიშნული იყო 8 ოქტომბრისთვის.

უკან გაფრენის ხაზია: რეველი—რიგა—დანციგი—კოპენჰაგენი—ამსტერდამი—ციურიხი—რომი.

# სამხედრო საქმე

## შენიშვნა.

### როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ იარაღი არ ბრჭყვიალებდეს.

წინად ჩვენ ლაპარაკი გვქონდა იმის შესახებ რომ გარბენის ან გაწოლის დროს მეომარს ხშირად ამჟღავნებს შაშხანისა ან სხვა იარაღისა და მოწყობილობის ბრჭყვიალი. მეტ ნაწილად ბრჭყვიალი გააქვს ძველს და განსაკუთრებით განახებ შაშხანას, რომელსაც მოშორებული აქვს შავი გარეფერი.

შორ მანძილზე ხშირად გადამრბენ მეომარს ამჟღავნებს ხიშტის ბრჭყვიალი, ხოლო საშუალო მანძილზე, გარდა ხიშტისა, გარკვევით მოსჩანს მთელი თოფის ბრჭყვიალება.

ხიშტისა და შაშხანის ბრჭყვალის თავიდან ასაშორებლად, საჭიროა თვითონ ხიშტის შავად მოელვა და შაშხანისა ხის ნაწილების შავად შეღებვა.

ხოლო იმისათვის, რომ გახეხილ და ნათელი ფერით შეღებილ შაშხანებს შევუმციროთ ბრჭყვიალი, საჭიროა შორ მანძილზე გადარბენის დროს ყოველთვის გვეჭიროს შაშხანა წინ მიმართული ხიშტით. ასევე უნდა მოვიქცეთ საშუალო მანძილზედაც მტრისაკენ წინსვლის დროს. რაც შეეხება ფრონტზე მოძრაობას (მარჯვენა ან მარცხენა ფრთისაკენ), ამ შემთხვევაში გადამრბენ მსროლელს გაუძნელდება შაშხანის დაჭერა მტრისკენ მიმართულ ხიშტით, ამიტომ შაშხანა უნდა ეჭიროს ხელში ხიშტით წინ (საითაც მოაძრაობს), მაგრამ აუცილებლად ხიშტი უნდა დახაროს დაბლა მიწისაკენ რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება. ეს ნაწილობრ შეამცირებს ხიშტის ბრჭყვიალს. გარდა ამისა რამოდენიმედ შეიძლება შემცირებულ იქნას ძველი, გახეხილი და ძალზე ნახმარი ხიშტის ბრჭყვიალი; ამისთვის უნდა ჩაუშვა ხიშტი რამოდენიმეჯერ ძალზე სველ მიწაში, მაგრამ ისე, რომ შაშხანა არ გასვარო, რისთვისაც ხიშტი წინასწარ უნდა მოხსნა შაშხანას.

გარდა იარაღისა, არის კიდევ სხვა საჭურველი, საგნები, რომლებიც გადარბენის დროს თავის ბრჭყვიალით ამჟღავნებს მსროლელს. ასეთია ქვაბი, ნიჩაბი (ნაჯახი ან თოხ-წერაქვი) აირმსპობი და წითელ არმიელის ქუდზე ვარსკვლავი. ყველა ეს საგნები დიდი ხმარების შემდეგ იწყებენ მზეზე ბრჭყვიალს, რის გამო მტერს ადვილად შეუძლია შეამჩნიოს მსროლელი. რომ საჭურველისა და სხვა მორთულობის საგნების ბრჭყვიალი თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ვარსკვლავს (ქუდზე) გადავაკრათ რაიმე მატერია (ჩვარი); ნიჩაბი (ნაჯახი ან თოხ-წერაქვი) ყოველთვის უნდა გვქონდეს ბუდეში: ქვაბი აუცილებლად უნდა შევხვიოთ რაიმე მატერიით, მითუმეტეს ეს საჭიროა კიდევ იმიტომ, რომ (ქვაბი) ხშირად ეკაკუნება მოძრაობის დროს საჭურველის სხვა საგნებს და შესაძლებელია, განსაკუთრებით ღამით, მიიქციოს მტრის ყურადღება. ასეთივე ზომები უნდა მივიღოთ აირმსპობის შესახებაც.

და როცა აქ ჩამოთვლილი პირობები დაცულ იქნება, მაშინ მსროლელი აასრულებს შენიღბვის ძირითად მოთხოვნილებებს, რითაც უზრუნველყოფს თავის-თავს ზოგიერთი მოულოდნელობისაგან, რომელიც ხშირად მეომრისთვის არა სასიამოვნოდ თავდება.

ი. ბარ.

## რა უშლის ხელს სამხკორთა მუშაობას.

### ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის საყურადღებოდ.

ქართული დივიზიების ნაწილებში სამხკორთა ქსელის გაფართოებას და ამ დარგის მუშაობის წინმსვლელობას ძლიერ აბრკოლებს და ხელს უშლის სამხკორთა წერილების უგზოუკვლოდ დაკარგვა, რამაც ამ ბოლო თვეებში პირდაპირ მასიური ხასიათი მიიღო. ამის გამო თითქმის ყველა ნაწილების სამხკორებში ადგილი აქვს სამართლიან უკმაყოფილებას. სამხკორებს ჰგონიათ რომ ყოველივე ამაში დამნაშავეა ჩვენი გაზეთის რედაქცია.

ზოგრგან სამხკორები აცხადებენ: „ჩვენ სისტემატიურად ვაგზავნით წერილებს და კორესპონდენციებს ჩვენი გაზეთის რედაქციის მისამართით. წერილები და კორესპონდენციები არც იბეჭდება გაზეთში და არც პასუხი გამოდის ფოსტაში. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ შევწყვიტოთ მუშაობა ამ დარგშიო".

ჩვენი შეხედულობით სამხკორები მართალი არიან, როცა ამას აცხადებენ.

ჩვენ თუ მაგალითისათვის ავიღებთ მეორე და მესამე ლეგიონებს და მრავალ სხვა ნაწილებს, რომლებიც ჩვენი გაზეთის რედაქციისაგან კარგა მანძილით არიან დაშორებულნი, და ღრმად ჩაუკვირდებით ამ ნაწილების სამხკორთა მუშაობას, დავინახავთ, რომ ამ ნაწილების სამხკორთა მიერ რედაქციაში სისტემატიურად იგზავნება წერილები და კორესპონდენციები თავიანთი ნაწილების ყოფა-ცხოვრებიდან, მაგრამ რედაქციას კი არ მოსდის ეს წერილები და თუ მოსდის, ისიც ძლიერ ცოტა, თითქმის უმნიშვნელო რიცხვი გამოგზავნილ კორესპონდენციისა. იკითხავთ სად მიდის ეს წერილები? უსათუოდ ფოსტაში იკარგება.

ამის შედეგად ჩვენ ვღებულობთ სამხკორთა ჩამოცილებას გაზეთისაგან და შებრუნებით, გაზეთისას სამხკორისაგან. ამასთანავე ერთად, სამხკორი თავს ანებებს მუშაობას ამ დარგში, რადგან მის მიერ გაგზავნილ წერილებიდან და კორესპონდენციებისაგან ერთი თვის განმავლობაში დაიკარგა უგზოუკვლოდ 8-12 კორესპონდენცია. მეორე ლეგიონში აგვისტოსა და სექტემბრის თვეების განმავლობაში დაკარგულ კორესპონდენციათა რიცხვი 63 აღწევს. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ნაწილებშიდაც.

ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როცა წითელი არმიის აღმშენებლობაში ადგილი აქვს გაცხოველებულ მუშაობას ყოველ დარგში, რომლის გაშუქება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე აუცილებელია.

ამიტომ იყო რომ რედაქცია ხშირად მიმართავდა ზოგიერთ ნაწილების (მაგ. მეორე და ცხენოსან ლეგიონებს) სამხკორებს, რომ მიეწოდებიათ მისთვის კორესპონდენციები თავიანთი ნაწილების საერთო საქმიანობიდან.

მაგრამ რედაქციის ეს მოწოდება რჩებოდა ხმათა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

რედაქცია ფიქრობდა, რომ ამაში დამნაშავე იყვნენ ამ ნაწილების სამხკორები, მხოლოდ საქმის ადგილობრივ გამოკვლევის შემდეგ, გამოირკვა, რომ წერილები და კორესპონდენციები იგზავნებოდა სისტემატიურად სამხკორების მიერ, რომლებიც ვერ აღწევდენ რედაქციამდე და იკარგებოდენ ფოსტაში.

ასეთივე მდგომარეობაა გაზეთის გავრცელების დარგშიდაც. წითელ არმიელებისა და უფპოლიტშემადგენლობის მიერ გამოწერილ გაზეთებს თავიანთ სოფლებისათვის ვერ ღებულობენ სისტემატიურად და არის მრავალი შემთხვევები, რომ გაზეთები, რომლებიც კანონიერად და სწორი მისამართით იგზავნება რედაქციის მიერ სრულიად იკარგება გზაზე და ხელის მომწერი ვერ ღებულობს მას.

აშკარაა, რომ ასეთი არანორმალური მდგომარეობა ხელს შეუწყობს ჩამოცილდეს ჩვენს გაზეთს და წითელი არმიის საერთო ყოფა-ცხოვრებას მუშურ-გლეხური მასა და რაც მთავარია, წითელი არმიის ნაწილებიდან უვადო და მოკლევადიან შვებულებაში წასული წითელი არმიელები.

ფოსტის ასეთ მოუწესრიგებლობას და ამ ნიადაგზე წარმოშობილ ყოველგვარ უკმაყოფილებას საჭიროა მიექცეს სასწრაფოდ ჯეროვანი ყურადღება ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატისაგან და ამის მიზეზების გამორკვევის შემდეგ გამოასწორონ ეს ნაკლი.

# შვებულთა გაცილება

## როგორ გაგვაცილეს.

**6-ხე ლეგიონი.**

3 ოქტომბერს დავათავეთ ჩვენი უფროსების მიერ დავალებულ საქმეების მოგვარება. ჩვენ მეთაურთა სკოლის კურსანტები ერთი წუთითაც არ შევჩერებულვართ და შესაძლებლობის ფარგლებში მუყაითად ვეკიდებოდით ლეგიონში წითელ არმიელთა პოლიტიკურად და სამხედრო საქმეში აღზრდის საქმეს.

ჩვენი მეცადინეობა წითელ არმიელებთან მართალია იყო ხანმოკლე, მაგრამ ზედმეტად მიმზიდველი, რადგან ისინი ყველაფრით დაინტერესებული იყვნენ და მუდამ ჩვენთან იყრიდენ თავს.

განუზომელია ჩვენთვისაც ერთი თვის ლეგიონში მუშაობის შედეგები. ჩვენ ბევრი რამ შევიძინეთ აქ, რომელიც ჯარში მუშაობის დროს დიდათ გამოგვადგება.

ლეგიონიდან ჩვენ გამოგვისტუმრეს და გვისურვეს მეტი ცოდნა და გამოცდილების შეძენა.

კურს. პერტაია.

## მოგვეცით პოლიტხელმძღვანელი.

**6-ე ლეგიონის სამნეო გუნდი.**

ჩვენი გუნდი საგრძნობლად არის დაცილებული ლეგიონს. ყოველმხრივად ვსცდილობთ, რომ საერთო მომზადებით არ ჩამოვრჩეთ სხვა ასეულებს, მაგრამ სამწუხაროთ ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ დღემდე არა გვყავს პოლიტიკური ხელმძღვანელი.

პოლიტიკურად ისედაც მოუმზადებელი არიან ჩვენი არმიელები და ის გარემოება, რომ დიდი ხანია პოლიტსაათი არავის ჩაუტარებია ჩვენთან უფრო აძნელებს მდგომარეობას. ეხლა ისიც აღარ იციან ამხანაგებმა, რაც იცოდენ. ამ გარემოებას დროზე უნდა მიექცეს ყურადღება და დაგვინიშნონ გამოცდილი პოლიტხელი, თორემ მოუმზადებელი არმიელები ვერაფრის გაკეთებას ვერ შესძლებენ სოფლად.

სამხკორი ოტრიული.

## მოგვაქციეთ ყურადღება.

**მე 5 ლეგიონი.**

ხსენებულ ლეგიონში მოგვავლინეს რამოდენიმე წითელ-არმიელი ცხენოსანი ლეგიონიდან. წამოსვლისას ჩამოგვართვეს ტანისამოსი, მოგვცეს უვარგისი, ძველი და თან გვითხრეს ლეგიონში რომ მიხვალთ, იქ მიიღებთ ხელახალსო.

ჩვენც დავიჯერეთ, მაგრამ ლეგიონში პირ იქით გვეუბნებიან, რატომ იქედან არ წამოიღეთ ტანსაცმელიო. შეგვპირდენ გამოვარკვევთ საქმესო, მაგრამ დღეები გარბის და ჩვენ ისეთსავე მდგომარეობაში ვიმყოფებით, როგორც პირველად. ცხენოსანი ლეგიონიდან წამოღებული ტანისამოსი შემოგვაგჯა და სხვაზე არვინ ფიქრობს.

მოგვაქციეთ ყურადღება, მოგვეცით ტანსაცმელი.

სამხკორი ცხენოსანი.

## კლუბის რწმუნებულთა მუშაობა.

**მეოთხე ლეგიონი.**

3 ოქტომბერს შესდგა ლეგიონის საკლუბო მუშაობის გეგმის შედეგების განხილვა, კლუბის უფროსის ამხ. კალანკაროვის თანდასწრებით. განხილულ იქნა ყველა ის დავალებები, რომლებიც იყო საერთოდ გადაცემული მივლინებულ კურსანტთა შემადგენლობაზე.

საკლუბო მუშაობის უკანასკნელ სხდომაზე გამოირკვა, რომ ყველა დავალებები, რომელიც იყო კურსანტებზე პირნათლად იქნა შესრულებული, საკლუბო ცხრილის მიხედვით, რომელშიდაც დიდ დარიგებებს იძლეოდა კლუბის უფროსი.

მოხსენების დროს თვითეულ ასეულის რწმუნებულებმა წამოაყენეს თავიანთი მუშაობის შედეგები. მაგალითად: კითხვა პასუხის დროს რანაირ მონაწილეობას ღებულობდა ესა თუ ის წითელ-არმიელი და ამასთანავე როგორ გაეცვნენ აქტიური წითელ-არმიელები. მიუხედავად იმისა, რომ კურსანტების განკარგულებაში ნაკლები დრო იყო მათ მაინც შესძლეს, საჭირო ნაყოფიერებით ეწარმოებიათ აღნიშნული დავალებების ცხოვრებაში გატარება.

ზოგიერთ შემთხვევაში ამხანაგებს მეტიც გაუკეთებიათ, ვიდრე მათ ევალებოდათ მიცემული გეგმა. ეს გარემოება ერთხელ კიდევ მეტად აშკარავებს, კურსანტების ინტერესებს საქმისადმი.

სამხკორი მაისურაძე.

# ახალწვეულების მოლოდინში

## ვემზადებით ახალწვეულების შესახვედრად.

**1-ლი საარტილერიო ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონის ყველა ბატარეებში სისტემატიურად ტარდება საუბრები ახალწვეულების შეხვედრის გარშემო.

წითელ-არმიელები ვცდილობთ რაც შეიძლება მეტი მომზადებული შევხვდეთ ახლად მომავალ ამხანაგებს. ჩვენ განზრახული გვაქვს არა მარტო სიტყვიერად, არამედ საქმითაც ვაჩვენოთ ამხანაგებს თუ როგორი უპირატესობით სარგებლობს წითელი ყაზარმა, რას ასწავლიან იქ, როგორ უნდა დაიცვან სამხედრო დისციპლინა და სხვა.

ძველი არმიელები ყველა ამას ასი პროცენტით შევასრულებთ და მათ შეუმსუბუქებთ მათ წითელ ყაზარმის ცხოვრებასთან შეგუებას პირველ ხანებში.

სამხკორი მოლითის პირველი.

## რა შეგვძინა წითელმა ყაზარმამ.

**1-ლი საარტილერიო ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონის წითელ არმიელთა შემადგენლობიდან უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარები იყვნენ.

ამ გარემოებას ნაწილმა თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია და დანიშნული იქნენ გამოცდილი მასწავლებლები, რომლებიც ენერგიულად მიუდგენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

არმიელებიც დიდი ყურადღებით ეკიდებოდენ მეცადინეობას, რაც იმით მკიცდებოდა, რომ უმიზეზოდ არ სტოვებდენ გაკვეთილებს და მასწავლებლის ახსნას გულდასმით უსმენდენ და ითვისებდენ.

მეცადინეობის გათავებას მეტად გულდაწყვეტით ხვდებოდენ, არ უნდოდათ შეეწყვიტათ ისდა მოითხოვდენ კიდევ გაგრძელებულიყო. განსაკუთრებით ძლიერ იყვნენ ეს ამხანაგები დაინტერესებული არითმეტიკის შესწავლით.

ამას გარდა დიდი გულმოდგინეობით ეკიდებოდენ ისინი სამხედრო მეცადინეობასაც.

მეცადინეობის საერთო შედეგები ძლიერ დამაკმაყოფილებელია. ამ ჟამად ლეგიონში არ მოიპოვება ისეთი არმიელი, რომელსაც შეგნებული არ ჰქონდეს სწავლის მნიშვნელობა და რა დიდი სარგებლობა მოაქვს წიგნების კითხვას.

ეს შეგვძინა ჩვენ წითელმა ყაზარმამ.

წ. არმ. ამხ. კაკაურიძე.

## ჩვენი საქმიანობა სოფლად.

**მე-2 საკავშირო ასეული.**

სამი თვე შესრულდა, რაც მეორე საკავშირო ასეული იმყოფება ბანაკში. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ნაწილი სცდილობდა დაკავშირებოდა ახლო მდებარე სოფლებს, რაც შესრულებული იქნა. დაახლოებულ სოფლებში უმთავრესად ვმართავდით წარმოდგენებს, ურიგებდით გლეხებს ლიტერატურას, ვაწყობდით ლიტერატურულ გასამართლებებს და ვეწვევდით ადგილობრივ კომუჯრედსა და კომკავშირის უჯრედებს ცოცხალ ხელმძღვანელობას. სოფელზე მიმაგრებული ამხანაგები თვალყურს ადევნებდენ სოფლის საჭიროებებს და შესაფერ დროს მთელი ასეული მივდიოდით გლეხების დასახმარებლად.

26 სექტემბერს საჭირო იყო სოფ. ქვედა ქვიშხეთში წყლის არხის გაყვანა. მარტო სოფლის გლეხები ამ სამუშაოს უნდებოდენ სამ დღეს. ასეული სიამოვნებით გამოეხმაურა ამ საქმეს.

70 კაცი მუშაობდა ჩვენი ასეულიდან გლეხებთან ერთად და სულ რამოდენიმე საათის განმავლობაში დაამთავრეს ეს სამუშაო.

ასეულმა ასეთი საქციელით საბოლოოთ მოიპოვა გლეხების გული, რომლებიც სიხარულით შესცქეროდენ კოლექტიურად შეკავშირებულ ჯარის კაცებს და მადლობით იხსენიებდენ მათ აღმზრდელ მეთაურებსა და მუშურ გლეხურ მთავრობას.

არხზე მუშაობის დასრულების შემდეგ ასეულმა გლეხებთან ერთად გადაიღო სურათი.

სამხკორი ს. მონიავა

## შეჯიბრი სროლაში.

**მე-2 მესანგრეთა ასეული.**

5 ოქტომბერს ჩვენი ასეული დაირაზმა და გავიდა ველად სროლის საწარმოებლად. მწყობრის თავმა დილიდანვე გამოაცხადა, რომ საუკეთესო მსროლელი არმიელი მიიღებდა საჩუქრად 15 მანეთის საღირალ საათს. ყველა ამხანაგები აღტაცებით მიეშურებოდენ სასროლ მიდორისაკენ. თავის იმედი ბევრს ჰქონდა, ბევრს უკვე გამოეცადა თავი და დაიმედებული მარჯვეთ უჭერდენ ხელს თოფებს,

როგორც იქნა მივაღწიეთ აღნიშნულ ადგილს.

სათანადო მომზადების შემდეგ, გაიცა ბრძანება და რიგრიგობით გასროლილი თოფების კვამლმა მოიცვა არე-მარე.

ყველა ხელმარჯვეთ და იმედიანად იღებდენ მიზანს.

ეტყობოდა ყველას დიდი გამოცდილება ჰქონდათ მიღებული. დამთავრდა თოფების გრიალი. სროლა დამთავრებულად გამოცხადდა და შეუდგენ შედეგების გამორკვევას.

საერთოდ ყველამ დამაკმაყოფილებლად შეასრულეს ამოცანები, მაგრამ ყველაზე უფრო გამარჯვებული გამოვიდა ძირედი შემადგენლობის არმიელი ამხ. მოწონელიძე. ექვსი ვაზნიდან არც ერთი არ დაუცილებია ამ ამხანაგს. ჯილდოც მას ხვდა.

შეჯიბრმა ისიც გამოარკვია, რომ ჩვენი ასეული მთლიანად კარგად არის მომზადებული მიზანში სროლისთვის. ამ მხრივ თითქმის არავითარი განსხვავება არ არსებობს ძირედსა და ტერ-შემადგენელ მოლაშქრეებს შორის.

წ. არმ. ფრანგი.

## წითელ არმიის და ფლოტის სახლის ქართულ სექციის საქმიანობიდან.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც წითელ არმიისა და ფლოტის სახლში ქართული სექცია დაარსდა.

ეს ფაქტი მით უფრო თვალსაჩინოა, რომ ჩვენი პარტიის ნაციონალური პოლიტიკა, არა მარტო რეზოლიუციებში იხატება, არამედ ცხოვრების პრაქტიკულ საქმიანობაში. ტარდება და ყალიბდება. სექციის მუშაობა არ იყო მოქცეული ვიწრო სკოლის გარეშე მუშაობის კალაპოტში, მას გაეხსნა ფართო ასპარეზი სამოქმედოთ, მან გაშალა მუშაობა პარტ-პოლიტ სფეროში.

სექცია ჩამოყალიბდა ივნისის პირველ რიცხვებში. მისი მეშვეობით და ხელმძღვანელობით არმიის სკოლის გარეშე კურსებზე გამოყოფილ იქმნა ქართველი კურსანტები ცალკე, საერთო პროგრამის შესავალის შესასწავლათ; სექციის გამგე აწარმოებდა მეცადინეობას შემდეგ თემებზე: სკოლის გარეშე მუშაობის ისტორია, კლუბი—ცენტრია კომუნისტურ აღზრდისა და სხვა, ამას კი დაემატა პრაქტიკული მეცადინეობანი ქართ. ნაწილებში. ქართულმა სექციამ შემოიკრიბა თავის გარშემო გარნიზონის საუკეთესო ძალები, შექმნა აქტივი.

ზაფხულის პერიოდში ქართულ ენაზე გაშვებულ იქნა სინათლის გაზეთები.

1 ქართულ მსრ. ლეგიონმა წითელ არმიისა და ფლოტის ბაღში გაუშვა სამი სპექტაკლი წარმოდგენები; დადგმები კარგი აღმოჩნდა.

2 არტ-ლეგიონმა მოგვცა 4 (ოთხი) სპექტაკლი შინაარსის მხრივ მიზანშეწონილი და მხატვრული, აქ ნათლად სჩანდა სამხკომის ამხ. ზარამიძის ორგანიზაციული ხელი, რისთვისაც ის მადლობის ღირსია. მეექვსე ტერ ლეგიონმა დადგა სულ სამი წარმოდგენა. აქტივის მუშაობა სამაგალითო იყო. სკოლის გარეშე მუშაობის ყველა ბირთვები ცენტრალიზაციას აძლევდენ სპექტაკლის გაშვების დროს. მუშაობის ხაზის სწორად დაყენების მთავარი ორგანიზატორი იყო კლუბის უფროსი ამხ. დ. ლომაძე.

გაშვებული წარმოდგენები ხშირად უკავშირდებოდენ მიმდინარე კამპანიებს; როგორც არის; უვადო შვებულებაში წ. არმიელთა გაშვება, ტერ-შეკრება, ახალ. საერთ. დღე, და სხვა. ეხლა კი, ზამთრის პერიოდში გასატარებელია შეკრებათა შორის მუშაობა ტერ-არმიელებში. ეს მომავალი მუშაობა ფრიად მძიმე და რთული ამოცანაა, რისთვისაც საჭიროა მეტად ფრთხილი, ორგანიზაციული მუშაობის წარმოება.

დაგო.

## მოგვეცით საწევრო წიგნაკები.

**ქარ. მეთ. სკოლა.**

ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ რაც სკოლის მე 2-რე ასეულის კურსანტები საჰაერო ფლოტის წევრებად ვართ ჩარიცხული. 1924 წელში შემოსულმა კურსანტებმა გადავიხადეთ ერთი წლის საწევრო ფული, მაგრამ საწ. წიგნაკები ჯერაც არ მიგვიღია. გვპირდებიან დღეს და ხვალ მოგცემთო, მაგრამ დაპირებას ბოლო არ ელება. ამასთანავე ვართ რემდასის წევრები, გვაქვს საწევრო წიგნაკები, ვიხდით საწევრო გადასახადს, მაგრამ წიგნაკში არავინ ნიშნავს.

რას ნიშნავს ასეთი უყურადღებობა? მიაქციეთ ყურადღება.

სამხკორი ალ. გაგუა.

# პარტიული ცხოვრება

**5-ე ლეგიონის № კომუჯრედი.**

1-ლ ოქტომბერს შესდგა ლეგიონის 3-ე და ტყვიამფრქვევ ასეულის კომუჯრედის გაერთიანებული კრება. გაირჩა მნიშვნელოვანი საკითხები პარტდავალებების შესახებ, რომელიც მთელი 100 პროც. შესრულებულა. კერძოდ კარგად შეუსრულებია დავალება სამხედრო სკოლიდან პრაქტიკულ მუშაობისათვის მოვლენილ ამხ. ნაფეტვარიძეს. ამხ. უნდა გაეცნო ტერ-არმიელებისათვის 14-ე პარტკონფერენციის რეზოლიუციები და სხვა. გამოირკვა, რომ ამხ. დიდი ნაყოფიერებით უწარმოებია მუშაობა.

ამას მჭერმეტყველურად ამტკიცებდენ არმიელები, რომლებიც სათანადო ცოდნით აღჭურვილი იყვენ და მადლობით იხსენიებდენ ამხანაგს მათთან დაუზარებელი მუშაობისათვის.

სამხკორი ლიტრა.

## წითელ არმიელების წერილებიდან.

### მოგვეცით პირის საბანი.

1-ლი არტლეგიონი.

ერთი თვეა მას შემდეგ, რაც ჩვენი ლეგიონი დაბრუნდა ბანაკიდან და მას შემდეგ არ იქნა, ვერ მოაწყვეს არმიელებისათვის ერთი პირსაბანი. წითელ არმიელები იძულებული არიან ამის გამო დაიბანონ პირი ცხენების წყლის დასალევინებელ ჰურჭელში, რაც ყოვლად დაუშვებელია ჰიგიენური თვალსაზრისით.

საჭიროა ჩვენმა მესვეურებმა დროზე მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და მოგვცენ პირის საბანი.

სამხკორი ან—ცი.

### რად აქვს ადგილი უწესრიგობას?

გაზ. „წითელ არმიელის" № 920-ში მოთავსებული იყო ამხ. ბ—ლის წერილი შემდეგი სათაურით „საჭიროა წესრიგი". ამხ. აღნიშნავს, რომ პირველ საარტლეგიონის 2-რე საგაუბიცო ბატარეის სასადილოში უწესრიგობას აქვს ადგილიო. ჯერ ერთი პირველ არტლეგიონს სრულიად არა ყავს 2-რე საგაუბიცო ბატარეია და შემდეგ ამხანაგის საყურადღებოთ, თუ ის ჩვენს ლეგიონს გულისხმობს უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენს სასადილოში ასეთ უწესრიგობას ადგილი არა აქვს.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

### რად გვინდა ასეთი კოოპერატივი.

1-ლი ლეგიონი.

ერთ დროს ჩვენი ლეგიონის კოოპერატივი როგორც იქნა დაემსგავსა რაღაცას, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში ისევ მიაკეტეს. ნოქარი გვეუბნებოდა დღეს ხვალ გავაღებო და ასე გადიოდა დღეები. როგორც იქნა ვეღირსეთ მის გაღებასაც, მაგრამ რად გვინდა, დღეში მხოლოდ ერთი საათია ღია. ჯერ ერთი კოოპერატივს არაფერი აქვს, მაგრამ რაც არის არც იმას იძლევა მეთაურებზე კრედიტში' იძულებული ვართ ვეძიოთ კერძო ვაჭრები და ჩავცვინდეთ ამ სპეკულიანტების ხელში. უკეთესია სრულიად დახურავდენ მას, მაინც არაფერს გვარგია. ის რომ აღარ იქნება ჩვენ მაინც შევქმნით რაიმე ამხანაგობას და აღარ შევაცქერდებით მას.

სამხკორი ს. ოქტომბერი.

### სად წაიღეს სახაზინო ნივთები?

1-ლი საკავშირო ასეული.

ბანაკში წასვლის წინ ასეულმა შეიძინა სხვა და სხვა ნივთები, რომლებიც უნდა დაერიგებინა საჩუქრად კარგი მსროლელებისათვის.

წითელ არმიელები ენერგიულად შეუდგენ მეცადინეობას და არა ერთხელ გამოუჩენია ბევრ მათგანს თავი კარგი სროლით.

მიუხედავად ამისა საჩუქრები დღემდე დაურიგებელია. ნაწილმა კი გაიარა ყველა სროლები და შეჯიბრებანი. ამ ჟამად სროლაში მონაწილე არმიელები სახლებშიაც იქნენ გაშვებული სამხედრო ბეგარის მოხდის შემდეგ. როდესაც მიმართეს წ. არმიელებმა ამის შესახებ დამხმარე ჯგუფის თავმჯდომარეს, პასუხად მიიღეს: მე ის ვიცი რომ ნივთები ვიყიდეთ შედეგს და წავიდა არ ვიციო."

საჭიროა ასეულის მნემ სათანადო ახსნა განმარტება მისცეს ამაზე არმიელებს.

სამხკორიგ. ჯ-მძე.

# უცხოეთის არმიებში.

**ახალი თოფები საბერძნეთის არმიაში.**

საბერძნეთის არმიის ერთმა ოფიცერმა გააუმჯობესა მანლიხერის სისტემის შაშხანა თოფი. საბერძნეთის მთავრობამ შეუკვეთა იტალიაში ამ-ეთი სისტემის ასი ათასი ცალი თოფი.

**ციფრები ფაშისტური პარტიის შესახებ.**

ამ ახლო ხანში სრულდება ერთი წელი მას შემდეგ, რაც იტალიაში მოჰკლეს ფაშისტი დეპუტატი გაზალინი.

ამის გამო ფაშისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ფარინაჩიმ წერილობით მიმართა იტალიის პრემიერ მინისტრ მუსოლინს, რომელშიდაც ის აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაზალინის შემდეგ მოკლული იქნენ კიდევ 45 ფაშისტი, პარტია არას დროს არ ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც ამ ჟამად. ამ ჟამად პარტიას აქვს 9000 უჯრედი (ჯგუფი), რომელშიც თავს იყრის 700,000 წევრი, 590 ქალთა უჯრედები— 25,000 წევრებით, 16 დამკვრელი ლეგიონები 90,000 წევრით და 18 ლეგიონი კი 7,000 ახალგაზრდა ფაშისტებით.

ამას გარდა ყოველდღიურად აუარება ქალები და მამაკაცები შედიან ფაშისტურ პარტიაში და სურვილს გამოსთქვამენ იბრძოლონ ფაშისტური არმიის რიგებში. ამ პოლიტიკური ძალების გვერდით პარტიას ყავს კიდევ 317 ნაციონალური პროფორგანიზაციები 1.800.000 წევრებით, მეზღვაურთა ფართე კავშირი, 6.317 სათემო მართველობანი, 68 პროვინციალური მართველობა და უზარმაზარი რკინისგზელთა ფაშისტური გაერთიანება 80.000 წევრით. ყველა ამ ორგანიზაციებმა გასაოცარი უნარიანობა გამოიჩინეს ქვეყნის ყველა სამეურნეო ორგანიზაციების ხელში ჩაგდებით.

წერილი თავდება იმედიანი ფრაზით, რომ ასეთი უზარმაზარი არმიის მეოხებით ფაშიზმი შესძლებს განახორციელოს ოცნება ფაშისტურ სახელმწიფოს შესახებ.

# ახალი ამბები.

**სანიტგანათლება წითელ-არმიელთათვის.** წითელ-არმიელთა ცენტრალურ კლუბში თვეში ორჯერ გამართავს წარმოდგენებს სანიტარული თეატრი.

— **ტფილისში არსებულ** 35 დასახიჩრებულთა არტელში მუშაობს 139 დასახიჩრებული.

— **თავშესაფარი უდ რიბეს მოქალაქეთათვის.** ტფილისის აღმასკომმა გადასწყვიტა ავლაბრის თავშესაფარი უღარიბეს მოქალაქეთათვის და მოაწყოს იქვე სასადილო.

— **სტიპენდიები.** ტფ. აღმასკომმა ნება დართო განათლების განყოფილებას კიდევ აიყვანოს 3 ღარიბი სტიპენდიანტი.

— **საქონლის რიცხვი საქართველოში.** მიწ.-მოქ. კომისარიატის ცნობით ამჟამად მთელ საქართველოში ითვლება 3 მილიონამდე მსხვილ და წვრილფეხა საქონელი.

— **ჭაობების ამოშრობა.** აჭარის მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატს განზრახული აქვს შეუდგეს 3.800 დეს. ჭაობის ამოშრობას, კულტურულ მცენარეთა მოსაშენებლათ.

— **საექიმო ინსტრუმენტები.** ჯანსახკომმა გამოიწერა საზღვარ-გარეთიდან თვალის სავათმყოფოსათვის საჭირო ინსტრუმენტები.

## აეროფოტო გადაღება.

**ტფილისისა და მისი ახლომდებარე ადგილების ფოტოგრაფიული სურათების გადაღება აეროპლანებით.**

ტფილისის აღმასკომს ჰქონდა დადგენილება გადაეღო ტფილისის და მის ახლომდებარე ადგილების დაწვრილებითი გეგმა. გეგმის შესადგენათ სამუშაოების დასრულება განზრახული იყო ორი წლის შემდეგ.

ამიერ-კავკასიის ავია ქიმმა მიმართა ტფილისის აღმასკომს წინადადებით, რომ იგი ითავებს ამ გეგმის შედგენას აეროფოტომეტრიული იარაღებით, რომლის საშუალებითაც გაადვილებული იქნება ჰაერიდან ფოტოგრაფიულათ ადგილების გაზომვა, ამნაირათ აწარმოებენ ამჟამად დიდი დასახლებული ცენტრების გეგმების შედგენას.

ავიაქიმი გეგმის შედგენას მოუნდება 4 თვე და მუშაობა დაჯდება 40 ათასი მანეთი.

ამ მიზნით მოლაპარაკება სწარმოებს ერთი ავიო სპეციალისტის გაგზავნის შესახებ მოსკოვში, ადგილობრივ ამ საქმესთან გასაცნობათ და აეროფოტომეტრიული გადაღების შესასწავლათ.

## შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში „პასუხი შეკითხვებზე", არჩილ ჯოჯეიშვილის შეკითხვაზე პასუხში კორექტორულ შეცდომის გამო, პასუხის აზრი სრულიათ დამახინჯებულია.

გამოტოვებულია პასუხში: „თუ ორგანიზაციას არ აქვს საწინააღმდეგო, თქვენ შეგიძლიანთ შესვლა საერთო წესით".

## პასუხი შეკითხვებზე.

ВОПРОС. Красноармейцы, прослужившие в технической части К. К. А. в авио-отряде с 1923 г. 29 апреля до 24 г. 26 сентября, подлежат ли призыву в терчасти?

ОТВЕТ. Если приписаны, должны явиться в терчасти.

**კითხვა.** 1924 წ. მაისში გამოწვეულ მესამე ლეგიონის წითელ-არმიელებს უვადო შვებულებაში წასვლის დროს არ მისცეს მაზარები. გვეკუთვნოდა თუ არა?

ტაბაკინელი.

**პასუხი.** თანახმად ბრძანებისა, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, გეკუთვნოდათ და უნდა მიგეღოთ კიდევაც.

**კითხვა.** მე ვარ გამოწვეული 1924 წ. შემოდგომაზე. როდის გამანთავისუფლებენ?

კ. გძელიძე.

**პასუხი.** გაისად, შემოდგომაზე.

**კითხვა.** ვმსახურებ 24 წ. მაისიდან. ეხლა ავადმყოფობის გამო ვიქენ უვადო შვებულებაში დათხოვილი. მეკუთვნის თუ არა ტანსაცმელი?

ივანიაშვილი.

**პასუხი.** მაზარას გარდა გეკუთვნით სხვა ტანსაცმელი, რადგან მაზარას აქვს ორი წლის ტარების ვადა.

**კითხვა.** ვმსახურებ ჯარში. სახლში დავტოვე ძმის ობლები, რომლებიც ჩემს რჩენაზე იმყოფებოდენ. ვის უნდა მივმართო დახმარებისათვის?

ი. იოსებაშვილი.

**პასუხი.** მიმართეთ აღმასკომს.

**კითხვა.** ის წ. არმიელები, რომლებიც უნდა განთავისუფლდენ მეორე რიგში, რომელ თვეში გაანთავისუფლებენ მათ?

ყურანაშვილი.

**პასუხი.** არა უგვიანეს პირველ დეკემბრისა.

**კითხვა.** წითელ-არმიელს აქვს თუ არა რაიმე შეღავათი გადასახადში?

წ. ა. ც— შვილი.

**პასუხი.** თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა № 197 წითელარმიელების ოჯახები იხდიან გადასახადის ნახევარს.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ვ. ოჭკურელს.** შამოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. ამხ. ახალციხელს** (მე-5 ლეგ.) ბარელაძეს (1-ლი ლეგ.) 1000—ს (მე-5 ლეგ.) ვეღებს, ტყეშელაშვილს (2-რე ლეგ.) და თე—ლის თქვენი წერილები: „ვაშა ასეთ ხელმძღვანელს," „გავეცანით მესამე ლეგიონს," „მეტი ყურადღება წერილებს," „შვებულ წითელ არმიელებს," „პასუხად მეს" და „გააუმჯობესეთ სოფლად მუშაობა" არ გამოგვადგა.

**ამხ. ლეკვეიშვილს** (6-ე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „კომუჯრედის ცხოვრებიდან" არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

მე-2 ქ. მ. დივიზიის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ წ. არმ. ამხ. ამხ. ვასილ ციყელაშვილს და სარქის ოგანეზოვს. თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს მათ შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში.

კომ. უჯ. ბიურო.

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის წევრად დამტკიცების შესახებ, კომპარტიის კანდიდანტს, წითელ არმიელ ამხ. ედიშერ ალექსის-ძე ხარატიშვილს, მცოხრები გორის მაზრაში სოფ. ტეზერში. აღნიშნული კომუჯრედი სთხოვს ყველა იმათ ვინც კი იციან რაიმე უარყოფითი ამხ. ხარატიშვილზე აცნობონ ერთი კვირის განმავლობაში.

მისამართი: ქ. თბილისი დავიდოვის ქ. № 6.

ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედი.

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.